



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	გერმანული ფილოლოგია German Philology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	გერმანული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of German Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	კრედიტ მოცულობა: 240 ECTS სწავლის ხანგრძლივობა: არანაკლებ 8 სემესტრისა ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 ჰუმანიტარული კომპეტენციის საბაზისო არჩევითი სასწავლო კურსები: 30 დარგის საკომპეტენციო სავალდებულო სასწავლო კურსები: 20 სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები: 70 დამატებითი პროგრამა: თავისუფალი კომპონენტები/60 (minor) სპეციალობის არჩევითი კურსები: 20 თავისუფალი არჩევითი კურსები: 10 საკვალიფიკაციო ნაშრომი: 10
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ლალი ქეცბა-ხუნდაძე პროგრამის კოორდინატორი: ასოც. პროფ. ნინო ქიმერიძე
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა <sup>1</sup>	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება ასევე პირები, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე არა აქვს ჩაბარებული გერმანული ენა, თუმცა ამ პირთათვის პირველ სემესტრში გერმანული ფილოლოგიის შესავლის კურსის პარალელურად, ინიშნება კურიკულუმს მიღმა სავალდებულო აქტივობა, რომელშიც

<sup>1</sup> პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>იგულისხმება ინტენსიური კურსი გერმანულ ენაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლას განაგრძობენ ის პირები, რომელთაც სწავლების პირველი სემესტრის ბოლოს გერმანულ ენაში საუნივერსიტეტო გრადაციის ტესტის გავლის შემდეგ უდასტურდება <b>უცხოური ენების სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს</b> მიხედვით გერმანული ენის კომპეტენცია A<sup>1</sup> დონეზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;</li> <li>- საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</li> </ul>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</b></p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის <b>გერმანული ფილოლოგია</b> მიზანია:</p> <p>დარგობრივი კომპეტენციის მქონე, უახლესი და მულტიდისციპლინური ცოდნით, ფართო დარგობრივი და ზოგადი (ჰუმანიტარული/ფილოლოგიური) უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადება საზოგადოებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სტუდენტს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. შესძენს საკომუნიკაციო ენის პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც შეესაბამება უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის B<sup>2.2</sup> დონეს;</li> <li>2. ჩამოუყალიბებს გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპებისა და ისტორიულ-კულტურული თავისებურებების ფართო თეორიულ ცოდნას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში;</li> <li>3. ჩამოუყალიბებს ენობრივი სტრუქტურის ფართო სისტემურ, თეორიულ ცოდნას და ენობრივ დონეებს შორის ურთიერთმიმართების ერთიან ხედვას როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში;</li> <li>4. გამოუმუშავებს ფილოლოგიური კომპეტენციების გამოყენებით ტექსტზე დაფუძნებული ანალიზისა და ინტერპრეტაციის საბაზისო ტექნიკებს, რომელთაც იყენებს ტექსტის წარმოქმნისა და გაგების პროცესში;</li> <li>5. გამოუმუშავებს თარგმანის თანამედროვე თეორიების საფუძველზე გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან თარგმნის საბაზისო ტექნიკებს კულტურათა დიალოგის კონტექსტში;</li> </ol>



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>6. გამოუმუშავებს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე თეორიებისა და მეთოდების გამოყენებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ენის სისტემაზე ორიენტირებულ თეორიულსა და ტექსტის კვლევებზე დამყარებული პრაქტიკული ხასიათის პროექტებისა და საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავების უნარს;</p> <p>7. გამოუმუშავებს ჰუმანიტარული მეცნიერებების თანამედროვე გამოწვევების შესახებ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით საკუთარი დასკვნების პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.</p>
სწავლის შედეგები <sup>2</sup>	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის <i>გერმანული ფილოლოგია</i> კურსდამთავრებულს აქვს ფართო ფილოლოგიური ცოდნა გერმანული ენის, ენობრივი სისტემის, ლიტერატურის, თარგმანის პრაქტიკასა და თეორიაში ძირითადი გერმანულენოვანი ქვეყნების კულტურასთან მიმართებაში.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	<p>კურსდამთავრებული:</p> <p>1.1. <b>ასახელებს, აღწერს და განმარტავს</b> გერმანული ენათმეცნიერების, ლიტერატურისა- და თარგმანმცოდნეობის ძირითად თეორიებსა და მეთოდებს;</p> <p>1.2. <b>მიმოიხილავს და განმარტავს</b> თანამედროვე გერმანული ენის სისტემურ თავისებურებებს, გერმანულენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვან ეტაპებსა და საკვანძო საკითხებს თანამედროვე ჰუმანიტარული საზოგადოებრივი კატეგორიების, ფილოლოგიური ტენდენციების და პრობლემატიკის კონტექსტში;</p> <p>1.3. <b>განსაზღვრავს და აღწერს</b> ენობრივ, ისტორიულ-კულტურულ მსგავსებასა და განსხვავებას ქართული და გერმანული რეალობის ფარგლებში ვერბალური, არავერბალური და კულტურის სხვადასხვა არტეფაქტების საფუძველზე.</p>
ბ) უნარები	<p>2.1. <b>ქმნის და განმარტავს</b> ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის პროცესში ტექსტებს გერმანულსა და ქართულ ენებზე, მონაწილეობს დარგობრივ დისკუსიაში, <b>მსჯელობს</b> ლოგიკურად და არგუმენტირებულად, <b>იყენებს</b> შესაბამის დარგობრივ ტერმინებს;</p> <p>2.2. <b>აანალიზებს და მიმოიხილავს</b> გერმანულენოვანი ლიტერატურის საკვანძო პერიოდებსა და განსხვავებული ჟანრის ლიტერატურულ ტექსტებს;</p> <p>2.3. <b>აანალიზებს, აჯგუფებს და შეისწავლის</b> ლინგვისტურ რაკურსში სხვადასხვა ტექსტის სახეობებს, ადგენს მათ ტიპობრივ მახასიათებლებსა და განსხვავებებს;</p> <p>2.4. <b>თარგმნის</b> გერმანულ ენაზე და გერმანული ენიდან ტექსტის სხვადასხვა სახეობებს ლექსიკონის დახმარებით, <b>ავლენს</b> განსხვავებას კულტურების დიალოგის ფარგლებში;</p>



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>2.5. <b>გეგმავს და ახორციელებს</b> საკვალიფიკაციო ნაშრომს ლინგვისტიკაში/ლიტერატურათ ან თარგმანმცოდნეობაში წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად: <b>აგროვებს</b> მონაცემებს, <b>მოიძიებს</b> და <b>იყენებს</b> ქართულ, გერმანულ და სხვა უცხოურ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურას; <b>კრიტიკულად აფასებს</b> შეგროვებულ მონაცემებს და მოძიებულ სამეცნიერო წყაროებს, ცალკეულ მეცნიერულ ჰიპოთეზასა და თეორიას, არგუმენტების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ პოზიციას;</p> <p>2.6. <b>ეფექტურად იყენებს</b> დარგობრივი ინფორმაციის გადაცემის პროცესში ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა (აკადემიურ და არაკადემიურ) საკომუნიკაციო სივრცეში, შესაბამის სამიზნე ჯგუფში და ჯგუფისთვის;</p>
<p>გ) <i>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</i></p>	<p>3.1. <b>დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას</b> აკადემიური და პროფესიული განვითარების თაობაზე, შესაბამისად, ამჟღავნებს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;</p> <p>3.2. სწავლის პროცესში <b>იცავს</b> პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების <b>პრინციპებს</b>, ტოლერანტულია კულტურათა განსხვავების მიმართ, პატივს სცემს ოპონენტის მოსაზრებას და ეთიკის ნორმების ფარგლებში აფიქსირებს საკუთარ პოზიციას საკითხის საჯარო განხილვისას.</p>
<p><b>სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლექცია;</li> <li>• სემინარი/სამუშაო ჯგუფი;</li> <li>• დამოუკიდებელი მუშაობა;</li> <li>• პრაქტიკუმი /პრაქტიკული მეცადინეობა;</li> <li>• ტუტორიალი;</li> <li>• ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია;</li> <li>• სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით;</li> <li>• წყვილში ან გუნდური მუშაობა;</li> <li>• როლური და სიტუაციური თამაშები;</li> <li>• გონებრივი იერიში;</li> <li>• შემთხვევის ანალიზი;</li> <li>• ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე;</li> <li>• ურთიერთშეფასება;</li> <li>• ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით;</li> </ul>



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების (მათ შორის ონლაინ-ბაზების) გამოყენებით;</li> <li>• ბეჭდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა /კრიტიკული წაკითხვა (გააზრება);</li> <li>• დისკუსია და დებატები;</li> <li>• შემოქმედებითი წერა;</li> <li>• ჯგუფური და/ან ინდივიდუალური კვლევითი პროექტის დაგეგმვა და განხორციელება ხელმძღვანელის მეთვალყურეობით;</li> <li>• ორენოვანი და სხვა სახის ლექსიკონებით სწავლება;</li> <li>• აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება;</li> <li>• ენის/ენების სწავლება მცირერიცხოვან ჯგუფებში;</li> <li>• კურიკულუმს მიღმა აქტივობები;</li> <li>• მოწვეული მომხსენებელი;</li> <li>• შებრუნებული გაკვეთილი;</li> <li>• აქტიური სწავლა;</li> <li>• შერეული სწავლა;</li> <li>• ელექტრონული სწავლება;</li> <li>• სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება;</li> </ul>
<p>შეფასების სისტემა<sup>3</sup></p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში <i>გერმანული ფილოლოგია</i> სასწავლო კომპონენტის დაუფლება ითვალისწინებს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის სასწავლო პროცესში და ეფუძნება შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპებს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად, რაც გულისხმობს უწინარესად ცალკეულ სასწავლო კომპონენტებში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასებას შესაბამისი შეფასების ფორმებით, ერთი მხრივ, შუალედური (ერთჯერად ან მრავალჯერად), ხოლო მეორე მხრივ, დასკვნითი შეფასების ფარგლებში, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).</p>

<sup>3</sup> პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმავში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე, საშინაო ნაშრომი, თარგმანი, რეფერატი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში, ეცნობება და განემარტება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p> <p>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის <i>გერმანული ფილოლოგია</i> განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში, რაც ასევე განემარტება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.</p>	
<p><b>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</b></p>	
ა) (A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა
ბ) (B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
გ) (C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
დ) (D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
ე) (E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა
<p><b>და ორი ტიპის უარყოფით შეფასებას:</b></p>	
ვ) (FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზ) (F) ჩაიჭრა <sup>4</sup>	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი განმეორებით აქვს შესასწავლი
<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი დამასრულებელ სემესტრში ამზადებს <b>საბაკალავრო ნაშრომს</b>, რომლის მომზადებისა და დაცვის წესი შემუშავებულია ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტზე და დამტკიცებული ამავე ფაკულტეტის 2011 წლის 28 იანვარს, ზემოხსენებულ მარეგულირებელ დოკუმენტში ცვლილება შესულია 2013 წლის 29 მაისის საბჭოს სხდომაზე.</p> <p>შესაბამისი მარეგულირებელი წესის თანახმად:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით;</li> <li>✓ რეცენზენტი წერს ნაშრომის შესახებ რეცენზიას და აფასებს სტუდენტის ნაშრომს მაქსიმუმ 60 ქულით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება;</li> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, დეკანის განკარგულებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი;</li> <li>✓ ნაშრომი ფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე;</li> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე სტუდენტი წარმოადგენს ნაშრომის შედეგებს პრეზენტაციის სახით, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში სტუდენტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრის შეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია სტუდენტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით;</li> </ul>	

<sup>4</sup> სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<ul style="list-style-type: none"> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილი ქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამი;</li> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და სტუდენტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტი 51 ქულის;</li> <li>✓ საბაკალავრო ნაშრომის არადაამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.</li> </ul>
<p><b>დასაქმების სფეროები</b></p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>– ნებისმიერ სამთავრობო, არასამთავრობო ან საჯარო დაწესებულებებში იმ პოზიციაზე, სადაც მოითხოვება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ შორის გერმანული ფილოლოგიის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები;</li> <li>– <i>მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის</i> (60 კრედიტიანი) გავლის შემდგომ გერმანული ენის მასწავლებლის პოზიციაზე საჯარო ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;</li> <li>– საგანმანათლებლო დაწესებულებებში;</li> <li>– ბიბლიოთეკებში, არქივებსა და მუზეუმებში;</li> <li>– გერმანულენოვან გიდად (გამყოლად) ტურისტულ ბიუროში;</li> <li>– კორექტორად გამომცემლობებში;</li> <li>– რეფერენტად სხვადასხვა სახის მასმედიაში;</li> <li>– მთარგმნელად სათარჯიმნო და სანოტარო ბიუროებში, სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიებსა და ორგანიზაციებში.</li> </ul>
<p><b>სწავლის გაგრძელების პერსპექტივა</b></p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის <i>გერმანული ფილოლოგია</i> კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამავე სპეციალობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე, ან საქართველოს კანონის <i>უმაღლესი განათლების შესახებ</i> 48-ე მუხლის 4<sup>ე</sup> პუნქტის თანახმად შეიცვალონ სპეციალობა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ მათთვის სასურველ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.</p>
<p><b>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და</b></p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.</p>





სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<p>უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის <i>გერმანული ფილოლოგია</i> განხორციელებაში მონაწილეობს მაღალი დარგობრივი (გერმანული ფილოლოგიის) კომპეტენციის მქონე 8 აკადემიური (2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი), 2 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი (დარგის 1 დოქტორანტი/1 პროფესორი) და დარგის 1 უცხოელი (1 მოწვეული დოცენტი) სპეციალისტი, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციები, აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით კანონმდებლობით დადგენილი ვადით.</p> <p>ენის პრაქტიკული კურსების მომზადებას ხელმძღვანელობს აკადემიური პერსონალი. შესაბამის კურსებზე მოწვეული იქნება 2 მასწავლებელი<sup>5</sup>, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი ლინგვისტიკაში, ან დოქტორანტები, რომლებიც ირიცხებიან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე გერმანული ლინგვისტიკის მიმართულებით.</p> <p>ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია პროგრამის თვითშეფასების დანართში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში.</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად შეზღუდვების გარეშე გამოიყენება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, სახელდობრ, სასწავლო აუდიტორიების უნივერსიტეტის მე-5 და პირველ კორპუსებში, კომპიუტერული კლასები, სამკითხველო დარბაზები უნივერსიტეტის, სამეცნიერო ბიბლიოთეკებსა და კათედრის ბიბლიოთეკა. ფაკულტეტისა და კათედრის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი განთავსებული ზემოხსენებულ სასწავლო კორპუსებში.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამას ემსახურება მაღლკვალიფიციური კონკურსით შერჩეული ადმინისტრაციული პერსონალი: მათ შორის კათედრის 1 ასისტენტი, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული პერსონალი (სასწავლო პროცესების მართვის, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და სტუდენტთა მომსახურების დეპარტამენტი, საფაკულტეტო ბიბლიოთეკის თანამშრომლები და ფაკულტეტის ტექნიკური პერსონალი, ტუტორები; საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრის, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების, სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების, საგარეო ურთიერთობათა, უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტების, კარიერული ცენტრის,</p>

<sup>5</sup> მასწავლებელთა მოწვევა შესაძლებელია თსუ უცხოური ენების შემსწავლელი ცენტრიდან, თუ ისინი აკმაყოფილებენ მათდამი პროგრამით წაყენებულ პირობებს.



სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	<p>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის), რომელთა კვალიფიციური მომსახურებით შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი პროცესების უხარვეზო მართვა.</p> <p>ამ ეტაპზე პროგრამა მიიღებს 35 სტუდენტს, როგორც ძირითადი (major), ისე დამატებითი (minor) პროგრამების ფარგლებში.</p>
<b>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</b>	<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ერთი მხრივ, უნივერსიტეტის, ასევე ფაკულტეტის ბიუჯეტებიდან, ხოლო მეორე მხრივ, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურისა და სხვა გერმანული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამისთვის განსაზღვრული თანხა და გრანტები მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების თარგმნაზე, გამოცემასა და ბეჭდვაზე და სხვ.</p>
<b>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</b>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს:</p> <ul style="list-style-type: none"><li>- საქართველოში დარგის განვითარების ტრადიციები;</li><li>- ქართული გერმანისტიკის ცნობადობის მაღალი ხარისხი გერმანულ აკადემიურ სივრცეში;</li><li>- პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმებითა და სამეცნიერო თანამშრომლობით;</li><li>- დარგის ინტერნაციონალიზაციის მაღალი ხარისხი;</li><li>- თარგმანის მიმართულებით დარგის სპეციალისტების მიერ გაწეული მრავალფეროვანი სამუშაოებით;</li><li>- საგანმანათლებლო პროგრამის დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან.</li></ul>

